

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №89-25, 13.06.2025

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით:

დადგენილება №17, 17.06.2025

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №81-26, 09.02.2026

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით:

დადგენილება №4, 18.02.2026

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

კომპიუტერული მეცნიერება

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული / სტუდენტს აქვს შესაძლებლობა რამდენიმე სასწავლო კურსს დაეუფლოს ინგლისურ ენაზე

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი / Bachelor of Computer Science

სწავლის ხანგრძლივობა: 4 წელი (8 სემესტრი)

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი (ECTS)

პროგრამის ხელმძღვანელი: ბესიკ ტაბატაძე, პროფესორი, ელ. ფოსტა: tabatadze.besik.eu.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება: სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს შპს ევროპის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა);

2. უცხოური ენებიდან ერთ-ერთი შემდეგი ენა: ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა);
3. ერთ-ერთი შემდეგი საგანი: მათემატიკა/ფიზიკა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა). თითოეული საგნისათვის (მათემატიკა/ფიზიკა) განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოიპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტების კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებული არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის აქტუალობა

გლობალიზაციის პროცესში კომპიუტერული მეცნიერებების, ტექნოლოგიების როლი მზარდია. XXI საუკუნეში, ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვასთან, ხელოვნური ინტელექტის შექმნასა და ციფრული სამყაროს მზარდი ტემპით განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ პროფესიის მქონე ადამიანურ რესურსზე მოთხოვნა. აღნიშნული გულისხმობს მოთხოვნის ზრდას პროგრამულ უზრუნველყოფასა და პროგრამული პროდუქტების შექმნაზე, რასაც ამ დარგის მცოდნე მაღალკვალიფიციური კადრები სჭირდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპიუტერული მეცნიერების სპეციალისტის მომზადება მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია ქვეყნის ეკონომიკის, კომერციის, ტექნოლოგიებისა და მრავალი სხვა დარგის განვითარებისათვის. დარგის განვითარების ტემპიდან გამომდინარე, წინამდებარე საბაკალავრო პროგრამა განსაკუთრებით აქტუალურია, როგორც ქვეყანაში მიმდინარე პროცესების, ისე მსოფლიოს ტექნოლოგიური გამოწვევების საპასუხოდ.

პროგრამის მიზანი

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებული, რომელიც:

1. მოიძიებს საჭირო ინფორმაციას, გააანალიზებს, ააგებს, განავითარებს ან/და განახორციელებს გამოთვლებზე დაფუძნებულ პროექტებს სხვადასხვა სფეროში.
2. გაიაზრებს კომპიუტერული მეცნიერების სფეროში არსებულ ეთიკურ და სოციალურ ასპექტებს პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას.
3. დამოუკიდებლად განსაზღვრავს კომპიუტერული მეცნიერების დარგში ახალი ტექნოლოგიების ათვისების საჭიროებას, ფლობს დარგში მიმდინარე სიახლეების გაცნობისა და შესწავლის უნარებს და აქვს შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.
4. განახორციელებს ეფექტურ კომუნიკაციას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან, კომპიუტერულ მეცნიერებაზე დაფუძნებულ პროგრამულ პროექტებთან და მათ განვითარებასთან დაკავშირებით.

სწავლის შედეგები

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონეს (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი) და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ასევე, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ იმ მოთხოვნებთან, რაც სავალდებულოდ განისაზღვრა კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად და ეფუძნება რეკომენდირებულ სწავლის შედეგებს: <https://eqe.ge/ka/page/static/1030/informaciis-da-komunikaciis-teqnologiebi>.

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

1. აღწერს კომპიუტერული მეცნიერების თეორიულ საფუძვლებს, განსაზღვრავს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება / განვითარებისთვის საჭირო ტექნოლოგიებს.
2. განიხილავს კომპიუტერული მეცნიერების ძირითადი კონცეფციების გამოყენების მნიშვნელობას სხვა დისციპლინებთან მიმართებით პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების პროცესში და განმარტავს კომპიუტერის არქიტექტურის კომპონენტების მახასიათებლებს და ქსელური ინფრასტრუქტურის გამართვისა და ოპერაციულ სისტემებთან მუშაობის ძირითად პრინციპებს.
3. მიმოიხილავს მონაცემთა სტრუქტურებს და მონაცემთა დამუშავების ალგორითმებს და ასრულებს კომპლექსურ, გამოთვლებზე დაფუძნებულ ამოცანებს შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.
4. აანალიზებს კომპლექსურ, გამოთვლით ამოცანას, აფასებს კომპიუტერული მეცნიერების შესაბამისი საგნობრივი არეების გამოყენების მიზანშეწონილობას დასმული ამოცანის გადაწყვეტის გზის განსაზღვრისთვის და პრობლემის გადაჭრისთვის იყენებს მონაცემთა დამუშავების სხვადასხვა საშუალებას.

5. აწარმოებს ეფექტურ კომუნიკაციას პროფესიულ საკითხებზე, ეფექტურად მონაწილეობს ჯგუფში კომპიუტერული მეცნიერების სფეროსთან დაკავშირებულ დისკუსიაში.
6. დამოუკიდებლად მოიძიებს, შეარჩევს და იყენებს რელევანტურ, ახალ ტექნოლოგიებს. განიხილავს იმ საბაზისო საგნობრივ არეს, რომლისთვისაც განკუთვნილია პროგრამული უზრუნველყოფა. ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.
7. აიდენტიფიცირებს კომპიუტერული მეცნიერების სფეროში არსებულ გამოწვევებს და ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული პროფესიული პასუხისმგებლობით სახავს მათთან გამკლავების გზებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან (იხ. პროგრამის დანართი 1 - პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა).

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა (იხ. პროგრამის დანართი 2 – საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა).

პროგრამის მოცულობა

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს ანუ 8 სემესტრს და მოიცავს 240 კრედიტს.

1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს, რაც ითვალისწინებს: ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას/პრაქტიკულ მუშაობას, პროექტებზე მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, საბაკალავრო ნაშრომს მომზადება/დაცვას.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, კრედიტების რაოდენობა აკადემიური წლის განმავლობაში შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

ერთი აკადემიური წელი მოიცავს 42 კვირას, ერთი სემესტრი 21 კვირას, მათ შორის 15 კვირა არის სასწავლო, დანარჩენი 6 კვირა კი სასესიო. მე-8 და მე-9 კვირა ეთმობა შუალედურ გამოცდას, მე-18 და მე-20 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდია, ხოლო 21-ე კვირა დამატებითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედია დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღე.

პროგრამის სტრუქტურა

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, აქედან:

სავალდებულო კომპონენტები - 180 კრედიტი

- სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 19 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 161 კრედიტი, რომელიც მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს (15 კრედიტი).

არჩევითი კომპონენტი - 60 კრედიტი

- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 35 კრედიტი
- არჩევითი თავისუფალი კომპონენტი - 25 კრედიტი, რომელიც ასევე ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე და რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

სავალდებულოა ინგლისური ენის B2.2 დონეზე ცოდნის დადასტურება ან პროგრამის ფარგლებში მიღწევა. სტუდენტი ინგლისური ენის ცოდნის დონეს ადასტურებს „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ინგლისური ენის სწავლას იწყებს „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ მიხედვით დადასტურებული დონიდან. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ვერ ადასტურებს ინგლისური ენის B1 დონეზე ფლობას, იგი პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის სწავლას იწყებს აღნიშნული წესის მიხედვით დადასტურებული შესაბამისი დონიდან (ინგლისური ენა A1 / ინგლისური ენა A2 / ინგლისური ენა B1.1 / ინგლისური ენა B1.2). ინგლისური ენის B2.1 დონეზე დასაწყებად საჭირო დონეებს (ინგლისური ენა A1 / ინგლისური ენა A2 / ინგლისური ენა B1.1 / ინგლისური ენა B1.2) სტუდენტი სწავლობს პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების ათვისებით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად ადასტურებს ინგლისური ენის B2.2 დონეზე ფლობას, იგი თავისუფლდება ინგლისური ენის კომპონენტის ათვისებისგან და ინგლისური ენისთვის განკუთვნილ კრედიტებს (10 კრედიტი) ითვისებს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებით ან თავისუფალი კრედიტებით. თუ სტუდენტის მიერ დადასტურებული დონე უფრო მაღალია, ვიდრე პროგრამით განსაზღვრული საწყისი დონე (B2.1), დარჩენილი კრედიტების მოცულობას სტუდენტი ივსებს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებით ან თავისუფალი კრედიტებით. არჩევითი თავისუფალი კომპონენტის კრედიტები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, შესაძლებელია ათვისებულ იქნას ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებით.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო გეგმა ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების ლოგიკურად და თანმიმდევრულად მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კომპონენტების კრედიტების მოცულობა, წინაპირობები და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილება განსაზღვრულია პროგრამის სასწავლო გეგმით (იხ. დანართი 5 - სასწავლო გეგმა).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულ შედეგებთან. კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას. დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსისთვის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს საერთო შეფასების 40%-ისა.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული

ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება VIII-IX კვირაში. შუალედური შეფასება გულისხმობს სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს სტუდენტების მუშაობის პროცესის, შუალედური გამოცდის და სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაოს ჯამურ შეფასებას, ხოლო დასკვნითი შეფასება - დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შუალედური და დასკვნითი შეფასების მეთოდებს, შინაარსსა და მათ ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში. სილაბუსში ასევე განმარტებულია თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებიც.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 50%, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50% + 1 ქულა.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე სტუდენტის მიერ დაგროვილი ქულების ჯამი შეადგენს 51 ქულას ან მეტს.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

საბაკალავრო ნაშრომის მომზადება და შეფასება

საბაკალავრო ნაშრომი სრულდება ევროპის უნივერსიტეტის „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესით“ დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაცვით.

საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასება მოიცავს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასებებს (80 ქულა), ხოლო დასკვნითი შეფასება გულისხმობს საბაკალავრო ნაშრომის კომისიის წინაშე დაცვას (20 ქულა). საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და კომისიის წევრების მიერ შეფასების კრიტერიუმების და შეფასების შესახებ სხვა დეტალები იხ. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში.

საბაკალავრო ნაშრომი უზრუნველყოფს სტუდენტისთვის მინიმალური კვლევითი უნარების განვითარებას, აგრეთვე, ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნა-უნარების პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენების უნარების განვითარებას. ამდენად, საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის შემაჯამებელ სამუშაოს, რომლის მიზანია - სასწავლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის შესწავლით სტუდენტის მიერ შეძენილი კომპეტენციების ფარგლებში მიღებული ცოდნის ინტეგრაცია, გაფართოვება და გაღრმავება კონკრეტულ მაგალითზე არსებული პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაჭრის გზების ჩამოყალიბების და შემდგომი გადაწყვეტის მეშვეობით. საბაკალავრო ნაშრომი სრულდება ნაშრომის თემის გათვალისწინებით შერჩეულ ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე.

დასაქმების სფერო

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ვებ სტუდიაში, ინტერნეტ კომპანიაში, სარეკლამო სააგენტოში, ნებისმიერ ორგანიზაციაში, სადაც არსებობს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისთვის სპეციალიზებული განყოფილება. კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა დასაქმდნენ ისეთ პოზიციებზე, როგორცაა: პროგრამისტი, დეველოპერი (მანქანური სწავლების დეველოპერი, ვებ-დეველოპერი, მონაცემთა ბაზების დეველოპერი), მონაცემთა მეცნიერი, მონაცემთა ანალიტიკოსი, ქსელებისა და სისტემების სპეციალისტი, პროგრამული უზრუნველყოფის მხარდამჭერი და ა.შ.

კომპიუტერული მეცნიერების სფერო პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი შესაბამისად არის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და პოპულარული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი და იძლევა დისტანციურად დასაქმების საშუალებას, როგორც ქვეყნის ფარგლებს შიგნით, ასევე, მის გარეთაც.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განაგრძოს სწავლა უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე – ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე საქართველოში ან სხვა ქვეყანაში, თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ევროპის უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები. კერძოდ:

უნივერსიტეტის შენობა აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით: სასწავლო აუდიტორიები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითა და ინტერნეტით:

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სასწავლო კურსებისთვის (თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის) გამოყოფილია აუდიტორიები, აგრეთვე, კომპიუტერული კლასი, რომლებიც

აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და სასწავლო კურსებისთვის საჭირო ყველანაირი რესურსით, პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი ორი სამუშაო ლაბორატორია: Dell-ის Alienware ბრენდის Gaming ხაზის, I9 პროცესორებზე აწყობილი კომპიუტერებით აღჭურვილი ლაბორატორია (EU LAB) და აიტი ლაბორატორია (IT LAB), რაც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისა და საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკული სწავლების საშუალებას იძლევა.

ბიბლიოთეკა - აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წიგნადი ფონდით (პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან /და ბეჭდური ფორმით), ელექტრონული რესურსებით. ასევე, უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა, შესაბამისად, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ხელმისაწვდომია სარგებლობა შემდეგი საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით: EBSCO EP Package ELIT (პაკეტი შეიცავს 11 ბაზას), და eLFL (ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის) ელექტრონული ბაზები (პაკეტი შეიცავს 8 ბაზას), Elsevier - ის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზაში შემავალი შემდეგი ბაზები: Scopus, Sciencedirect.

საგამოცდო ცენტრი - უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში შეფასების პროცესის მხარდაჭერას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო სივრცე - ქმნის უნივერსიტეტში მუშაობისა და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისათვის ხელსაყრელ სამუშაო გარემოს.

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია პრაქტიკის გავლა პარტნიორ ორგანიზაციებში, მათთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პერსონალით). საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს უძღვება სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი (იხ. [დანართი 6 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი](#)).

შენიშვნა: კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დანართები წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

პროფესორი, ბესიკი ტაბატაძე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.

სოფიო ხუნდაძე